დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სკოლა გიმნაზია პირველი

შეფასების თარიღ(ებ)ი
23-24 ივნისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
05.07.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს სკოლა გიმნაზია პირველი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**243571639**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**
იურიდიული მისამართი	**არდაზიანის ქ. N8**
ფაქტობრივი მისამართი	**არდაზიანის ქ. N8**
საფოსტო ინდექსი	**1060**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**school-pirveli.edu.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**oqrojanashvili1970@gmail.com**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**0322952134**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ნინო ოქროჯანიშვილი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	
ელ-ფოსტა	**oqrojanashvili1970@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სკოლა გიმნაზია „პირველში“ ვიზიტის შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 28 აპრილის ბრძანება MES 3 22 0000430133.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23-24 ივნისი, 2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	ირინა დვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით,	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით			
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად			
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების,	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
	2.6.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე და ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კომპლექტური დავალებების პრაქტიკაში დანერგვისთვის.

დაწესებულების მისია	შპს სკოლა-გიმნაზია ,,პირველის" მისიაა, შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო. იზრუნოს მოსწავლეებში სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, მოსწავლის ინტერესების, მიდრეკილებების გამოვლენაზე, დამოუკიდებელი სწავლისა და შრომის უნარების განვითარებაზე, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაზე. უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით ხელი შეუწყოს და მოამზადოს მოსწავლეები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. შექმნას ხელსაყრელი გარემო სსსმ მოსწავლეების განვითარებისა და სოციუმში ადაპტაციისთვის. ხელი შეუწყოს არაქართულენოვან მოსწავლეებს (სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ბავშვები) სახელმწიფო ენის სწავლებასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 219	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 2021 წლის 9 სექტემბრის №2-53 ბრძანებით. სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. შესავალი 2.სკოლის მისია 3. სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკა 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	5. სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები 6. სკოლის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები 7. სასწავლო პროცესის ორგანიზება 8. სკოლის დღის რეჟიმი 9. სადამრიგებლო პროგრამა 10 საგნობრივი კათედრები 11.საათობრივი ბადე 12. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა 13. საგანმანათლებლო რესურსები 14. მოსწავლის შეფასების სისტემა 15. ინკლუზიური განათლება 16. სკოლა-გიმნაზია პირველში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი, რომლებიც გაწერილია ესგ-ით. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, ის განხილულია 2021 წლის 7 სექტემბრის №1 პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლის სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე წარმოადგენს მესამე მოდელს, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2021 წლის 8 სექტემბრის №88117008 წერილით. საათობრივი ბადის მიხედვით, სკოლა ასრულებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ, ბადეში გათვალისწინებულია ყველა ის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი საგანი, რომლებსაც განსაზღვრავს ესგ, ასევე სკოლის საათობრივი ბადე აკმაყოფილებს ესგ-ით გათვალისწინებული საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	გარდა ამისა, განმარტებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებული მომსახურების სახეები. სკოლა მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით სთავაზობს მეორე უცხოურ ენას - რუსულ ენას - II-IV კლასებში კვირაში 1-საათიანი დატვირთვით (წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამის მიხედვით, ამ კლასების მოსწავლეებს უვითარდებათ მოსმენისა და საუბრის უნარები, საგნის პედაგოგი იყენებს ელექტრონულ რესურსებს), ხოლო V-VI კლასებში 2-საათიანი დატვირთვით. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ჩანს, შესთავაზა თუ არა სკოლამ მოსწავლეებს მინიმუმ 2 უცხოური ენა (სასწავლო გეგმის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რაც სასურველია ასახულიყო დოკუმენტში, თუმცა, 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული მშობელთა კრების ოქმის მიხედვით დასტურდება, რომ მეორე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით, ჩატარდა მეორე კლასის მშობლების გამოკითხვა, მათ შეეთავაზათ რუსული და გერმანული ენები და მშობლების სურვილით შეირჩა რუსული ენა, როგორც მეორე უცხოური ენა. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინგლისური ენის შესწავლას, კერძოდ, I-XI კლასის ჩათვლით გაზრდილია ინგლისური ენის სწავლების საათები, ამით სკოლა ასრულებს მისიით გათვალისწინებულ მოთხოვნას-ხელი შეუწყოს უცხოური ენების გაძლიერებულ სწავლებას. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურების სახით სავალდებულოა ფსიქოლოგის საათი (სსგ- ში მოცემულია ფსიქოლოგის საათი სწავლების დასაბუთება და პროგრამა), ასევე მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაკვეთილების შემდგომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	გაწევრიანდნენ სასურველ წრეებში და კლუბებში: ცეკვა, კარატე, ხელოვნების წრე, წიგნის კლუბი, ინგლისური ენა, ვოკალის, ქართული ენის წრე უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის. სკოლაში უცხოენოვანი მოსწავლეების სწავლა-სწავლება პასუხობს სკოლის მისიით გაცხადებულ მიზანს: შექმნას ხელსაყრელი გარემო და ხელი შეუწყოს არაქართულენოვან, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსწავლეებს განვითარებისა და სოციუმში ადაპტაციისთვის; სახელმწიფო ენის სწავლებასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოები ყველა გრიფირებულია. შეფასების სისტემა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაშია. სასწავლო წლის კალენდარი გულისხმობს 35 სასწავლო კვირას II-XI კლასებისათვის და 30 სასწავლო კვირას I-XII კლასებისათვის. გეგმაში მოცემულია ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეებისა და უცხოურენოვანი მოსწავლეების ინდივიდუალური გეგმები. სკოლამ სასწავლო წელი დაიწყო დისტანციურად, რისთვისაც იგი გამოხატავდა მზაობას, კერძოდ, სსგ-ში დეტალურადაა გაწერილი დისტანციური სწავლებისას ორგანიზების საკითხები: დისტანციური სწავლების მოდელები, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისა და დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების წინაპირობები; დისტანციური სწავლების სასკოლო სასწავლო გეგმა; დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები; მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა; დისტანციური სწავლების შეფასება; დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობა. 2021-2022 სასწავლო წლის გეგმაში სადამრიგებლო პროგრამა განსაკუთრებული აქტივობებით არის დატვირთული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; • პედსაბჭოს ოქმი; • ინტერვიუები მასწავლებლებთან, სკოლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან; • დამრიგებლების პორტფოლიოები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წარმოდგენილი იყო საგნობრივი კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია - სხდომების ოქმები, ყველა საგნის მასწავლებლის სამუშაო პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრები. გარდა წარმოდგენილი დოკუმენტებისა, მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი საგნის სწავლების მიზნები, ისინი კარგად იცნობენ საგნობრივ სტანდარტებს, რომელთა საფუძველზე გეგმავენ და აგებენ გაკვეთილებს, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულ გაკვეთილებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი თემატური გეგმებიდან ჩანს, რომ გაკვეთილები თითოეულ კლასსა და საგანში დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• კათედრების სხდომების ოქმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების დებულება. დოკუმენტში აღწერილია ინკლუზიასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: მოსწავლის შეზღუდული შესაძლებლობის განმარტება; სკოლის უფლება-ვალდებულებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის მიღება; როგორ ხდება მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირება; მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა; სასკოლო გარემოს მოწყობა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შეფასება. ექსპერტთა მიერ, შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, რომ 2021-2022 სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა 4 სსსმ მოსწავლე და 13 არაქართულენოვანი მოსწავლე. 4 სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილია სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში (ესგ-ს 42 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად). გეგმები განხილულია სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე და სკოლის დირექტორის 2021 წლის 30 სექტემბრის №2-58 ბრძანებით, სსგ-ის დანართად განსაზღვრულია 4 სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეცმასწავლებელი. არაქართულენოვანი მოსწავლეები სხვადასხვა კლასებში სწავლობენ. ისინი ენის ფლობის მიხედვით სამ კატეგორიად არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	დაყოფილნი. ქართულის წრის მასწავლებელმა წარმოადგინა თითოეული კლასტერისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ცხრილი. მუშაობა სხვადასხვა ჯგუფისთვის სხვადასხვა ინტენსივობისაა-ყოველ დღე, კვირაში სამჯერ და ა.შ. თითოეული მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასში გაწერილია შესასწავლი თემები, საკითხები, აქტივობები, დღეები. წარმოდგენილი იყო ასევე მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. სამწუხაროდ, არ მოხერხდა მათთან გასაუბრება. აღნიშნული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ 5 მათგანი პირველივე კლასიდან სწავლობს ამ სკოლაში, 3-გადმოვიდა სხვადასხვა საჯარო სკოლიდან და სამივეს აქვს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, 5 მოსწავლე კი პირველ კლასში ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში, ხოლო შემდგომ მობილობით გადმოვიდნენ სკოლა გიმნაზია პირველში. სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა (ქიმია, ისტორია, მათემატიკა) ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ ქართული ენის წრის მასწავლებელთან და თანამშრომლობენ მასთან, რათა გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები.
	• ინტერვიუები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან; • მასწავლებლების პორტფოლიოები- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები • პედსაბჭოს სხდომის ოქმი
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; შეფასების პრინციპები საფეხურების მიხედვით, შეფასების კომპონენტები; განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები; გამოცდების ტიპები. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში წლიური გამოცდების ჩატარება არ ყოფილა დაგეგმილი. სკოლაში გამოიყენება შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ფორმა, რაც დამოკიდებულია სწავლების მიზანსა და მისაღწევ შედეგზე: ესე, თხზულება, მოხსენება, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, კომპლექსური დავალება და სხვ. შემაჯამებელი დავალების ჩატარებამდე 10 დღით ადრე მოსწავლეები ინფორმირებული არიან შემაჯამებელი დავალების თემაზე, ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებზე. კრიტერიუმები მუშავდება მოსწავლებთან ერთად და იკვრება საკლასო ოთახში-თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასისთვის განსაზღვრული ყველა შემაჯამებელი დავალება, თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას, აღადგინოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება სკოლაში გამოცხადებიდან 5 საგაკვეთილო დღის განმავლობაში. აღდგენილი შემაჯამებელი დავალება უნდა ჩატარდეს იმავე თემაზე, იმავე ფორმატით მხოლოდ განსხვავებული ვარიანტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შემაჯამებელი დავალებები, მათი თემატიკა და ანალიზის ფორმები, მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილია მასწავლებლების პორტფოლიოებში. აღსანიშნავია, რომ სკოლის მასწავლებლები ინტენსიურად მუშაობენ კომპლექსური დავალებების შექმნაზე. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები გარკვეული ნაწილი კომპლექსურია. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მოსწავლის მობილობის შემთხვევების არსებობაც და დააკონკრეტოს მობილობის შემთხვევაში სკოლის სტრატეგია შემაჯამებელ დავალებების რაოდენობასთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან გასაუბრების და კათედრების მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის მიერ შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. განსაზღვრულია გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი; საშემოდგომო გამოცდის ჩატარების მექანიზმი; შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები საგნებისა და კლასების მიხედვით. მოსწავლეებმა, გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, რომლებსაც მათ მასწავლებლები ყველა დავალების წინ აცნობენ. კლასი დაძლეულად ითვლება, თუ მოსწავლის შეფასება არის 5.0. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასებას, რომელშიც აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, თუ რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	კლასის დამრიგებლები IV კლასის ბოლოს წერენ შემაჯამებელ წერილობით შეფასებას. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება ათქულიანი სისტემით. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. **მოსწავლის შეფასების კომპონენტებია:** ➢ მიმდინარე საშინაო დავალება; ➢ მიმდინარე საკლასო დავალება; ➢ შემაჯამებელი დავალება; სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). სასკოლო სასწავლო გეგმის აღნიშნული რეგულაცია დაცულია სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში შეფასება ხორციელდება კათედრებზე შემუშავებული რუბრიკების მიხედვით. <u>ექსპერტების მიერ გადამოწმდა მოსწავლეების განმავითარებელი შეფასების ფორმები, რასთან დაკავშირებითაც სკოლის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა - შეფასების მიცემისას გამოიყენონ მეტი კონკრეტიკა და მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ასახონ ცოდნისა და უნარების ხარისხობრივი ანალიზი, ყველა დადებითი და სუსტი მხარის მითითებით. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო ასევე მასწავლებლების მიერ შევსებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები ყველა საგანში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები; • ინტერვიუების შედეგები; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება. მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ფორმებია: • პარასკევი-მშობლის დღე • მშობელთა კრებები • სკოლის დირექტორთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით სკოლაში მშობლის დაბარება; • „განცხადებების დაფა“, სადაც განთავსებულია მშობლისათვის საინტერესო ინფორმაცია, სიახლეები, დაგეგმილი შეხვედრებისა და ღონისძიებების გრაფიკი. მშობელი არჩევს მისთვის სასურველი კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილის გაგზავნა და ა.შ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლის ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელის სკოლის გვერდი, ასევე სოციალურ ქსელში თითოეული კლასისა და საგნისათვის შექმნილი ,,ჩატი“ წარმოადგენს მშობლებთან კომუნიკაციის საშუალების სხვადასხვა ფორმას. სკოლის ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, მშობელს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს თავისი შვილის აკადემიურ მოსწრების, გაცდენის საშინაო დავალების შესახებ ინფორმაციას. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ აღნიშნული რეგულაცია ქმედითია, სკოლის წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას სასწავლო პროცესში მშობლების ჩასართავად და ინფორმაციის გადასაცემად. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ საჭირო დროს მიმართონ სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელს და მიიღონ მათგან უკუკავშირი. დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: • სკოლის შინაგანაწესი; • მოსწავლის ქცევის კოდექსი; • გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუცების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ლაბორატორის გამოყენების წესი(დებულება); • სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები; • სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია; პირველ მშობელთა კრებაზე დამრიგებლის მოწვევით, თითოეული საგნის მასწავლებელი მოსწავლეების მშობლებს აცნობს შეფასების პრინციპებსა და კრიტერიუმებს. მშობლებს ავსებინებს თანამშრომლობის კითხვარს, რომლის საშუალებითაც ადგენს მშობლის ინტერესის სფეროებს, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართულობის მზაობას. ინტერვიუს დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ სიახლეებს და რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის 2020 წლის 8 სექტემბრის 2-72 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება. • ელექტრონული ჟურნალი; • მშობლებთან ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შექმნილი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის“ დოკუმენტი, ასევე 2021-2022 სასწავლო წლის ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა. როგორც ირკვევა, სკოლა მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის დემინგის ციკლით: დაგეგმე - განხორციელე - შეამოწმე - განავითარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	წარმოდგენილი ანგარიშებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტების განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და იგეგმება შემდგომი გაუმჯობესების გზები. ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის დოკუმენტში განსაზღვრულია თითოეულ ეტაპში ჩართული მხარეები, მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობები, შესაფასებელი კომპონენტები და მათი შეფასების ფორმები (გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, კითხვარი მშობლებისათვის, კითხვარი მასწავლებლისათვის, მოსწავლის კითხვარი). 2020-2021 ს/წლის ანგარიშის თანახმად, სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და შემდგომი ანალიზის შედეგად 2021-2022 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვრა წრეობრივი და კლუბური მუშაობის პროგრამები. პედაგოგთა უმეტესობამ შექმნა და განახორციელა კომპლექსური დავალებები. ხარისხის განვითრების ცენტრის დახმარებით 1 ნოემბერს სკოლა ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში. შეიქმნა სკოლის ფეისბუქგვერდი, კოორდინატორის დახმარებით პედაგოგები ჩაერთვნენ საგნობრივ ვებინარებსა და შეხვედრებში. გასული სასწავლო წლის სსგ-ის შეფასებით, დისტანციურ რეჟიმის გამო, სადამრიგებლო პროგრამა სრულყოფილად ვერ განხორციელდა, ამიტომ მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სადამრიგებლო პროგრამას. ამას ადასტურებს დამრიგებლების პორტფოლიოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მექანიზმი სკოლაში ეფექტიანად ფუნქციონირებს და მის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,სკოლა გიმნაზია პირველის“ დირეტორის მიერ დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ • შევსებული კითხვარები; • აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორის ანგარიში • გაკვეთილებზე დასწრების ანალიზის ფორმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. სასურველია, განმავითარებელი შეფასების მიცემისას მოსწავლეთა შეფასებაში ასახონ ცოდნისა და უნარების ხარისხობრივი ანალიზი, ყველა დადებითი სუსტი მხარის მითითებით. 2. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მოსწავლის მობილობის შემთხვევების არსებობაც და დააკონკრეტოს მობილობის შემთხვევაში სკოლის სტრატეგია გაცდენილ შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 882.60 კვ.მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-გიმნაზია პირველი განთავსებულია 4 სართულიან მანსარდულ შენობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, არდაზიანის ქ. N8. შენობის საერთო ფართია 882.60 კვ.მ, რომლის ფლობაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზით. სასწავლო მიზნებისთვის, სკოლის შენობაში არის 12 საკლასო ოთახი, 1 კომპიუტერული კლასი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 სპორტული დარბაზი, 1 სააქტო დარბაზი, 1 ბიბლიოთეკა, 1 ექიმის ოთახი, არქივი, 1 სამასწავლებლო და 1 სკოლის ადმინისტრაციის ოთახი.
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ლ.არდაზიანის N8
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 01.10.12.009.013
კვ.მ.	882.60 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ01.10.12.009.013) • შენობის აზომვითი ნახაზი
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლის 12 საკლასო ოთახში განთავსებულია 198 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კიდია დაფები, მოსწავლეთა ნამუშევრები და პლაკატები. საერთო ჯამში სკოლის ფლობელობაშია 280 ერთადგილიანი მერხი და 278 სკამი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • შენობის სკოლის ფართის აზომვითი ნახაზი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, პირველ სართულზე განთავსებულ 50 კვ.მ. ოთახში, მოწყობილი აქვს სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა, ლეიბები, ფრენბურთის ბადე, ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კაბინეტში განთავსებულია 6 ორადგილიანი მაგიდა, ოთახში გამოყოფილია ცალკე სივრცე ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად, სადაც დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი ფარი და კარადებში განთავსებულია სხვადასხვა ლაბორატორიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ჭურჭელი. კაბინეტში გამოკრულია სასკოლო ლაბორატორიების სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებულ ოთახებს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. მხოლოდ 3 ოთახს, რომლებიც მეოთხე სართულზეა განთავსებული აქვთ პატარა სარკმლები და მათი სრულყოფილი განათებისთვის დამონტაჟებულია დღის განათების ნათურები. სკოლის შენობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის და ცენტრალური გათბობის უწყვეტი სისტემით. შენობის სამ სართულზე განთავსებულია 2-2 სველი წერტილი, მათ შორის არის ადაპტირებული წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს 2384 ერთეულს, მათ შორის არის ყველა კლასის და საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საინფორმაციო მასალა. მასში განთავსებულია წიგნის თაროები, 4 მაგიდა და სკამი, 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და ასლგადამღები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ელექტრონულ ანბანურ კატალოგში, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები, რომელიც რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებით სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელსაც შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. მასთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წიგნადი ფონდის ინვენატარიზაციის ჟურნალი; • წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სსსმ და შშმ პირთათვის სკოლის სართულებზე მოსახვედრად დამონტაჟეულია ასაკეცი მოძრავი პანდუსები. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილები, როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს.	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ინტერნეტქსელში ჩართული 14 კომპიუტერი, მათ შორის 10 კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 1 ბიბლიოთეკაში, 3 სკოლის დირექციის ოთახში, ასევე 3 ლეპტოპი სამასწავლებლოში. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://www.school-pirveli.edu.ge/. ვებგვერდზე განთავსებულია: ინფორმაცია სკოლის სტრუქტურული ერთეულების შესახებ; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის დებულება; ინფორმაციების გვერდი მშობლებისთვის, მშობელთან კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა; ხარისხის მართვის კონცეფცია, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები; ხარისხის მართვის სამსახურის დებულება; სადამრიგებლო პროგრამა და ასე შემდეგ. სკოლის ელ.ფოსტა oqrojanashvili1970@gmail.com, ელექტრონული ჟურნალი - schoolbook და სოციალური ქსელი-ფეისბუქგვერდი, ასევე ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს, მათი საშუალებით შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია და ინფორმირება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეებზე. სკოლამ წარმოადგინა დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.edison.edu.ge; • ელექტრონული ჟურნალი “schoolbook ”; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • დომენისა და ჰოსტიგის ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა. სკოლის შენობას აქვს სახანძრო კიბე და სახანძრო სტენდი თავისი აღჭურვილობით. შესაბამის ადგილებზე განთავსებულია ახლად დატენილი 9 ცეცხლმაქრი. ყველა ოთახში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო, შესაბამის ადგილზე გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • საკადასტრო აზომვითი ნახაზები; • საევაკუაციო გეგმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. შემუშავებულია ექიმის დებულება, პანდემიის პირობებში სამოქმედო გეგმა. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. კაბინეტში განთავსებულია: მაგიდა, საკაცე, მაცივარი, სამედიცინო ტახტი, შირმა და სხვა. კაბინეტში გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • საგანგებო სიტუაციების გეგმა; • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ექიმთან გასაუბრების შედეგები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებულის აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სასწავლო პერიოდში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, ხოლო სკოლის შენობის 24-საათიან დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს დარაჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები • სკოლის დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფს შიდა 4 და გარე პერიმეტის 4 კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდება სკოლის დირექტორის მონიტორის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების შეძენის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისთვის შემუშავებული სკოლის დებულება და შინაგანაწესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (8.09.2020 ბრძანება N2-75) . სკოლის დებულება განსაზღვრავს სასწავლო პროცესების ძირითად მიმართულებებს, მიზნებს და ძირითად ამოცანებს, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს/მოვალეობებს და ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს საგანმანათლებლო საქმიანობას და განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს, წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს და სხვა. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. საქმიანობის დაგეგმვასა და ეფექტიან წარმართვას ემსახურება ასევე სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის, კათედრის, პედსაბჭოს, ექიმის, მშობლის ინფორმირების და სხვა დებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-გიმნაზია „პირველის“ მიერ შემუშავებული სკოლის განვითარების გრძელვადიანი (2022-2028) გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (ბრ.N 2-02 12.01.2022). მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის (SWOT ანალიზი) ასევე დირექციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას განხორციელდა სკოლის არსებული საქმიანობის შესწავლა და ანალიზი, მისი დასახულ მიზნებთან შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭირო სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებების განსაზღვრა. გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიზანს და მიმართულებას: მართვის სისტემები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დახვეწა და განვითარება, საკადრო საკითხების გაუმჯობესება, მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემების გაუმჯობესება. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2021-2022) სამოქმედო გეგმა, გამომდინარეობს სტრატეგიული განითარების გეგმიდან და 2020-2021 სასწალო წლის SWOT ანალიზს ეფუძნება. ანალიზში ასახულია სკოლის საჭიროების კვლევის შედეგები, რომელიც დაეყრდნო სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის და მასწავლებლების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას (ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კითხვარები და მათი ანალიზი). სამოქმედო გეგმა კონკრეტული მიზნების შესრულებაზეა ორიენტირებული და მოიცავს სკოლის დოკუმენტაციის შემუშავებასა და დახვეწას, ორგანიზაციულ განვითარებას, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და განვითარებას, უსაფრთხო გარემოს შექმნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • სკოლის SWOT- ანალიზი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი (დამტკიცებულია შპს სკოლა გიმნაზია „პირველის“ დირექტორის მიერ ბრ.2-72 08.09.2020), რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი: • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი“ • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი“ • მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლბეთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობით სკოლაში სასწავლო პროცესს 44 თანამშრომელი ემსახურება. მათ შორის: 1-გენერალური დირექტორი; 1-აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორი; 1-დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; 1- კოორდინატორი; 1-ექიმი; 1-ბუღალტერი; 1-ფსიქოლოგი; 1- ბიბლიოთეკარი; 1-გახანგრძლივებულის მასწავლებელი; 2- დამლაგებელი; 1-კარისკაცი; 1- ხელოვნების წრის ხელმძღვანელი; 1- ცეკვის მასწავლებელი; 1- ინგლისურის წრის ხელმძღვანელი; 29 - მასწავლებელი. წარმოდგენილი ადამიანური რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლის სტრუქტურა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**29**
მოწვეული/მაძიებელი	**5/2**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	**18**
წამყვანი მასწავლებლი	
უსტატუსო მასწავლებელი	**4**
მენტორის სტატუსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა პირადი საქმეები და მათში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დადგინდა რომ 29 მასწავლებელს შორის-18 უფროსი მასწავლებელია, 4 მოწვეული (9 საათიანი დატვირთვით), 2 მაძიებელი და 4 უსტატუსო (ორ პედაგოგს - მათემატიკა და გეოგრაფია დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია. მომდევნო წლიდან ორივე პედაგოგი გეგმავს მასწავლებლის მომზადების 60- კრედიტიან პროგრამის გავლას. ორი პედაგოგი დარეგისტრირებულია საგნის გამოცდაზე (მუსიკა და სპორტი). სკოლამ წარმოადგინა გამოცდაზე გასვლის ბარათები. შესაბამისად დადასტურდა, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა გიმნაზია პირველში, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, რეგულირდება შინაგანაწესით. დოკუმენტის თანახმად და ასევე თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის ან გასაუბრების გზით. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია ივსება შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ან ღია კონკურსის საფუძველზე. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის გენერალური დირექტორი. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე (მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე), ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. შინაგანაწესში გაწერილია ასევე კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა. შინაგანაწესი (მუხლი 6.1) განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის და ასევე (მუხლი7.) თანამშრომელთა წახალისების საკითხებს. წახალისებისა და დისციპლინალური სახდელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. ასევე თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელია შინაგანაწესით და საქმისწარმოების წესით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები • პერსონალის პირადი საქმეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. მექანიზმებით განსაზღვრულია მთელი რიგი აქტივობებისა, რომლებიც მიმართულია თითოეული თანამშრომლის პროდუქტიულობის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისკენ. წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის და დირექციასთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ამ მიზნით სკოლა იყენებს მოტივაციის ამაღლების, წახალისების, მონიტორინგის, შეფასების, პასუხისმგებლობათა დელეგირების, ურთიერთთანამშრომობის, სწავლა განვითარების (ტრენინგების ორგანიზების) მექანიზმებს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, ხოლო სკოლის ხარისხის მართვის სამსახური კოორდინირებას უწევს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნით ახორციელებს: საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით; გაკვეთილზე დასწრებას წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით; ინტეგრირებული გაგვეთილებს; კათედრებს შორის სადისკუსიო შეხვედრებს. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შპს სკოლს-გიმნაზია ,,პირველი“ 2021-2022 სასწავლო წლის ნოემბერში ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში“. შესაბამისად, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, ისინი ესწრებიან საგნობრიც ვებინარებს, კათედრებზე განიხილავენ სიახლეებს და მუშაობენ საგაკვეთილო პროცესში დანერგვის მეთოდებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებული დოკუმენტაციის მიხედვით, პასუხისმგებლობები და მოვალეობები გადანაწილებულია, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. სკოლაში იმართება საგანმანათლებლო და შემოქმედებითი, გასვლითი ღონისძიებები. ხარისხის ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლის დირექცია ითვალისწინებს თანამშრომელთა მოსაზრებებს, მათ ინტერესებს. მოსწავლეები გრძნობენ მასწავლებლების მხარდაჭერას. ამ მხრივ აღსანიშნავია, უცხოენოვანი მოსწავლეების ინტეგრაციაზე ზრუნვა სკოლის მხრიდან და მათი მხარდაჭერა, რაც დასტურდება მოსწავლეთა ინდ. გეგმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები. • ხარისხის ანგარიში • ინდ გეგმები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი, 05.07.2022
გვერდების რაოდენობა - 44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.